

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №14

ქ.ვანი. თავისუფლების ქ. N 65

04. 08.2021 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, რამაზ არველაძე, მალხაზ ცერცვაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, გელა ჩიკვაძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ღვიტიძე. (დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდა: კობა ძაგნიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე**.

სხდომა 14-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2021 წლის 4 აგვისტოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო - სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ.“

/მომხსენებელი: გელა ჩიკვაძე/

2. „ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზედა მუქედის N1 და N4 ქუჩების სახელდების შესახებ.“

/მომხსენებელი: გელა ჩიკვაძე/

3. საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, საპროექტო იდეის მოწონების შესახებ.“

/მომხსენებელი: ზვიადი კაპანაძე/

4. „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანისა და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე.“

/მომხსენებელი: ზვიადი კაპანაძე/

5. ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების კვარტლური მიმოხილვის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

/ მომხსენებელი: ივანე
მამფორია/

6. ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების კვარტლური მიმოხილვის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2021 წლის 4 აგვისტოს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -11

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო - სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2 აგვისტოს N02/08/01 განკარგულების შესაბამისად ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოიყოს ადგილები საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისთვის. მომხსენებელმა ჩამოთვალა ის შენობა-ნაგებობები სადაც შესაძლებელია და სადაც აკრძალულია საარჩევნო მასალების გაკვრა.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -11

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 4 აგვისტოს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზედა მუქედის N1 და N4 ქუჩების სახელდების შესახებ.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სოფელ მუქედის მოსახლეობის მოთხოვნით გადაწყვიტეს შინდისის ბრძოლაში გმირულად დაღუპული მიხეილ დვალიშვილის ქუჩა გაგრძელდეს და N4 ქუჩასაც მიენიჭოს მისი სახელი. ასევე N4 ქუჩის პირველ და მეორე ჩიხებს ეწოდის მიხეილ დვალიშვილი სახელი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -11

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 4 აგვისტოს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, საპროექტო იდეის მოწონების შესახებ.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს პროექტი მოწონებული და დამტკიცებული იყო, მაგრამ მივიღეთ შენიშვნა, რომ ეს ყველაფერი გაკეთებული ყოფილიყო არა ტურიზმის განვითარების მიზნით არამედ ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობის და ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მესამე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -11

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 4 აგვისტოს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანისა და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე“

მომხსენებელმა წარმოადგინა საპრივატიზებო ობიექტები და მათი საწყისი ფასები.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეოთხე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -11

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 4 აგვისტოს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა „ ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების კვარტლური მიმოხილვის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2020 წლის 28 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N28 დადგენილებით. შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 6900,0 ათასი ლარით, გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 7600,0 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 700,0 ათასი ლარით. პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში ექვსჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 13649,8 ათასი ლარის, გადასახდელები 14950,3 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 1300,5 ათასი ლარის მოცულობით. 2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა 13499,8 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო პერიოდის გეგმა 6486,2 ათასი ლარით. ბიუჯეტში მობილიზებულია 6077,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 45,0% -ს და საანგარიშო პერიოდის გეგმის 93,7% -ს შეადგენს. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნების წლიური გეგმა 14950,3 ათას ლარს, ხოლო პერიოდის გეგმა 7496,7 ათას ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულებაა 6253,5 ათასი ლარი, წლიური გეგმის 41,8% და პერიოდის გეგმის 83,4%.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა, მიიღეს ცნობად ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების კვარტლური მიმოხილვა.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების კვარტლური მიმოხილვის შესახებ ინფორმაციის მოსმენა“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით, 2021 წლის ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილი წესისა და ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. სარეზერვო ფონდიდან 6 თვის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებისათვის 82,7 ათასი ლარი გამოიყო. გამოყოფილი თანხების საკასო შესრულება 82,2 ათას ლარს შეადგენს, საიდანაც სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 77,3 ათასი ლარი, ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლით 4,9 ათასი ლარი მიიმართა.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა, მიიღეს ცნობად „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების კვარტლური მიმოხილვის შესახებ“

საკითხის ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე